ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
X-__/__/__

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია 201_ წლის ____ _____ შემდეგ მხარეებს შორის:

1. შპს „_____“, საიდენტიფიკაციო კოდი _____, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, _____; წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ _____ სახით შემდგომში წოდებული, როგორც **„გამყიდველი“**;

2. ფიზიკური პირი _____ _____, პირადი ნომერი _____, რეგისტრაციის მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, _____; ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, _____; საკონტაქტო ტელეფონი _____, შემდგომში წოდებული, როგორც **„მყიდველი“**;

მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებაზე (შემდგომში „ხელშეკრულება“) ხელის მოწერით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს ავტოსატრანსპორტო საშუალებას (შემდგომში „ავტომობილი“) შემდეგი მონაცემებით;

მარკა	
მოდელი	
რეგისტრაციის ნომერი	
VIN-კოდი	

1.2. მყიდველი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გამყიდველს უხდის „ავტომობილის“ ღირებულებას.

1.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ მათ გააჩნიათ შესაბამისი უფლებამოსილება და/ან ყველა ნებართვა (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), რათა გააფორმონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახის გარიგება;

2. მხრეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. გამყიდველი ვალდებულია:

2.1.1. მყიდველს გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი „ავტომობილი“; 2.1.2. გადასცეს მყიდველს „ავტომობილის“ ყველა თანმხლები საბუთი;

2.2. მყიდველი ვალდებულია:

2.2.1. „ავტომობილის“ ღირებულების გადახდა აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

2.2.2. დროულად მიიღოს „ავტომობილი“ გამყიდველისაგან;

2.2.3. მოახდინოს იმ ხარჯების გადახდა, რაც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად „ავტომობილის“ მყიდველის სახელზე გაფორმებისათვის;

გამყიდველი _____ მყიდველი _____

2.2.4. „ავტომობილის“ საკუთრების უფლების გადაცემამდე „ავტომობილის“ მართვისას დაიცვას საგზაო და უსაფრთხოების წესები. თავისი ხარჯით მოახდინოს იმ თანხის გადახდა, რაც გამოწვეული იქნა მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის და/ან უსაფრთხოების წესების დარღვევით.

3. ღირებულება და მისი გადახდის წესი

3.1. „ავტომობილის“ ღირებულება, რომელიც მყიდველმა გამყიდველს უნდა გადაუხადოს შეადგენს **16,000 (თექვსმეტიათასი)** აშშ დოლარის (USD) ექვივალენტი ლარში დღგ-ს ჩათვლით.

3.2. გამყიდველი ვალდებულია მყიდველს ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული თანხა გადაუხადოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ შემდეგი გრაფიკით:

3.2.1. 2013 წლის 7 ნოემბერი - 8000 (რვაათასი) აშშ დოლარის (USD) ექვივალენტი ლარში.

3.2.2. 2013 წლის 8 ნოემბერი - 2000 (ორიათასი) აშშ დოლარის (USD) ექვივალენტი ლარში.

3.2.3. 2013 წლის 8 დეკემბერი - 1000 (ათასი) აშშ დოლარის (USD) ექვივალენტი ლარში.

3.2.4. 2014 წლის 8 იანვარი - 1000 (ათასი) აშშ დოლარის (USD) ექვივალენტი ლარში.

3.2.5. 2014 წლის 8 თებერვალი - 1000 (ათასი) აშშ დოლარის (USD) ექვივალენტი ლარში.

3.2.6. 2014 წლის 8 მარტი - 1000 (ათასი) აშშ დოლარის (USD) ექვივალენტი ლარში.

3.2.7. 2014 წლის 8 აპრილი - 1000 (ათასი) აშშ დოლარის (USD) ექვივალენტი ლარში.

3.2.8. 2014 წლის 8 მაისი - 1000 (ათასი) აშშ დოლარის (USD) ექვივალენტი ლარში.

3.3. ამ მუხლით გათვალისწინებული „ავტომობილის“ ღირებულება მყიდველის მიერ გადახდილი უნდა იქნეს მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით, ხელშეკრულებაში აღნიშნული გამყიდველის მომსახურე ბანკის საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანით;

3.4. თანხის გადახდის ყოველ შემთხვევაში აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გამოითვლება გამყიდველის მომსახურე ბანკის, გადახდის დღეს არსებული, აშშ დოლარის შესყიდვის კომერციული კურსის მიხედვით.

3.5. თანხის გადახდის ყოველ შემთხვევაში აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გამოითვლება გადახდის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

4. საკუთრების უფლების გადაცემა

4.1. „ავტომობილის“ გადაცემისას მხარეებს შორის დგება მიღება-ჩაბარების აქტი;

4.2. „ავტომობილი“ მიწოდებულად ითვლება მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის შემდეგ;

4,3. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში გამყიდველის მიერ „ავტომობილის“ მყიდველზე გადაფორმება მოხდება „ხელშეკრულების“ 3.2. პუნქტით გათვალისწინებული „ავტომობილის“ ღირებულების შესაბამისი გრაფიკით მთლიანად დაფარვის შემდგომ არაუგვიანეს 2 (ორი) დღისა.

4.4. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში გამყიდველის მიერ „ავტომობილის“ მყიდველზე გადაფორმებამდე გამყიდველი მყიდველს უფორმებს მინდობილობას მყიდველისთვის შემდეგი უფლებების შეზღუდვით: შემდგომი გადაყიდვა, დაგირავება, იპოტეკით დატვირთვა, იჯარა/გაქირავება;

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მისი მოქმედების ვადა და შეწყვეტა

5.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად და ჯეროვნად შესრულებამდე.

5.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს.

5.2.1. მხარეთა შეთანხმებით;

5.2.2. კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

გამყიდველი _____ მყიდველი _____

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ხელშეკრულების შეცვლა

7.1. ხელშეკრულება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მხარეების სრული შეთანხმების შედეგია და ენიჭება უპირატესობა მხარეებს შორის მანამდე არსებულ, როგორც წერილობით ისე ზეპირ წინადადებებთან, მოლაპარაკებებთან და შეთანხმებებთან შედარებით.

7.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ იგი გაფორმებულია წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ყველა ზეპირი შეთანხმება ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით იურიდიული ძალის არმქონეა.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებების შესრულებისაგან ისეთი გადაულახავი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, როგორიც არის ომი, ხანძარი, ეპიდემია, სტიქიური უბედურებები ან სახელმწიფო ხელისუფლების გადატრიალება, ან სხვა გარემოებები, რომლებიც აფერხებენ ან შეუძლებელს ხდიან მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას.

8.2. მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთს აცნობონ ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შესახებ მათი დადგომიდან 24 საათის განმავლობაში. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევს აღნიშნული ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების ვადის შესაბამისად.

9. სხვა დებულებები

9.1. ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ყველა ის საკითხი რაც დარეგულირებული არ არის ხელშეკრულებით უნდა გადაწყდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკებით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმე განიხილება საქართველოს სასამართლოში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. მხარეებმა ნებისმიერი შეტყობინება უნდა განახორციელონ წერილობით. ასეთი შეტყობინება ითვლება სათანადოდ გაგზავნილად თუ იგი ადრესატს გადასცა კურიერმა, გაგზავნილია დაზღვეული წერილით, ფაქსით ან ელექტრონული ფოსტით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, თუ მეორე მხარე ხუთი დღით ადრე არ შეატყობინებს საკუთარი მისამართის შეცვლის შესახებ.

9.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად.

10. მხარეთა რეკვიზიტები

„გამყიდველი“	**„მყიდველი“**
შპს “_____”	შპს “_____”
ს/კ	ს/კ
დირექტორი:_____ _____	SWIFT:
	IBAN:
	დირექტორი: _____ _____
გამყიდველი _____	მყიდველი _____

გამყიდველი _____ მყიდველი _____